11/04/2025

MES 8 25 0000401326

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 2 აპრილს 12:00 სა ათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: April 2, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/85090566220?pwd=20DbMvQxg9ultjP6aA1mXkd32XZPHE.1
Meeting ID: 850 9056 6220
Passcode: 789856

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრები

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
თამარ ალადაშვილი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი
ეკატერინე ბენდელიანი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე
ნინო ტაბატაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის განათლების პროფესიული სამსახურის უფროსი
ეთერ ქავთარაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო კურსების კოორდინატორი
გიორგი თხელიძე - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის ტყის ინფორმაციისა და კადასტრის სამმართველოს უფროსი

სსიპ კოლეჯ „ერქვანი“
ფრიდონ ბუაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ლიანა კერვალიშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ნათია იორდანიშვილი - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე

შპს ესკო-ეს
გვანცა ხელაძე - დირექტორი
ზაალ ხელაძე - მწვანე ინჟინერიის ცენტრის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი
გვანცა ტოროშელიძე - ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

შპს მატა აკადემია
კახა ჯოგლიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
მარიამ შინდაგორიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ კოლეჯ "პრესტიჟი“

ია სარაჯიშვილი - დირექტორის მოადგილე
მალხაზი სამადაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი
იორამ ესიტაშვილი – შპს „ნაკარალის“ წარმოების უფროსი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ივანე ჯაგოდნიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ხათუნა მხეიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე
თამარ აფციაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი
ეკატერინე ნარეშელაშვილი - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი
ბორის გითოლენდია - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი
ნია ნათბილაძე - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
გივი გოლეთიანი- პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
კობა სილაგაძე
ნინო ძნელაძე
ეკატერინე ბალარჯიშვილი
გიორგი ქველიაშვილი
ელისო მურვანიძე
საბა მოდებაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.

რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ სალომე სანაიას, რაზეც სალომე სანაიამ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ /01405/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ „ხე-ტყის დამზადება“ /02196/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ესკო-ესის „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (ArcGIS და QGIS) ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვაში“ /02220/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს მატა აკადემიის „ფიტნეს ინსტრუქტორი” /02203/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ კოლეჯ "პრესტიჟის" "ხე-ტყის დამზადება" / 02239/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურება“ /02229/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტ აქსაცია“ /01405/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის გა ნხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საკითხი წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ნია გუგუნავამ, მან განაცხადა, რომ იურიდიულმა პირმა პროფესიული გადამზადების პროგრამაში შეიტანა ცვლილება და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად (პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ვადაში ცვლილებების შეტანა) აღნიშნული ცვლილების შესახებ აცნობა ცენტრს. ცენტრმა მიზანშეწონილად ჩათვალა პროგრამის მონიტორინგი დარგის ექსპერტის ჩართულობით და მომზადებული დასკვნა განიხილება საბჭოს სხდომაზე.
პროგრამა შინაარსობრივად გაიყო 2 ნაწილად. რაც მონაწილეებს საშუალებს მისცემს უკეთ აღიქვან ინვენტარიზაციისა და ტაქსაციის პროცესები. აღნიშნული სტრუქტურა სასწავლო კურსს, გახდის ბევრად უფრო მოქნილს და პრაქტიკულს. პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირიდან შემცირდა 8 კვირამდე, თუმცა თეორიული კომპონენტის ხარჯზე პრაქტიკული კომპონენტი გაიზარდა 2-დან 3 კვირამდე. პროგრამის მოკლე აღწერიდან ამოღებულია - თეორიული კომპონენტის დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლებლობა. ასევე, „ტყის მართვის გეგმის შემუშავების“ ნაცვლად ჩაიწერა „ტყის ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე შესაბამისი სატყეო სამეურნეო ღონისძიების დაგეგმვა“. შესაბამისად, სწავლების პირველი კვირა დაეთმობა ზოგადი მეტყევეობის, ტყის მართვის ეროვნული და საერთაშორისო პრინციპებისა და საქართველოს ტყე-მცენარეულობის დახასიათებას. ტყის ეროვნული აღრიცხვის სწავლების ეტაპებს დაეთმობა მეორე კვირა და შეჯამდება განმავითარებელი შეფასებით. სწავლების მესამე კვირა დაეთმობა საველე სწავლებასა და განმსაზღვრელ შეფასებას NFI/FMI მიმართულებით. შემდგომი პერიოდი დაეთმობა ტყეთმოწყობის მიმართულებას, რომელიც მოიცავს ტყის ამორჩევითი და დეტალური აღრიცხვის სახეებს, ასევე GIS მიმართულებას. სწავლების "ტყეთმოწყობის" ეტაპის მეხუთე და მერვე კვირა განსაზღვრულია პრაქტიკული კომპონენტისთვის. 06 პრაქტიკული კომპონენტის ბოლოს, მერვე კვირას ჩატარდება განმსაზღვრელი შეფასება საველე პირობებში.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დარგის ექსპერტის მოსაზრებაა შემდეგი, რომ აღნიშნული ცვლილება ხაზს უსვამს სწავლების ეფექტიანობას, თუ რა გამოცდილება აჩვენა გასულმა პერიოდმა. განხორციელებული ცვლილება იქნება წარმატებული, ვინაიდან ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია წარმოადგენს პირველ რიგში პრაქტიკაზე დაფუძნებულ დარგს და მისი პრაქტიკული სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა მნიშვნელოვანია. წარმოდგენილი ცვლილებები არის კარგად გააზრებული, რაც მეტად მოქნილს და პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებულს გახდის პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ და „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058791 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (ს/კ: 206351730) „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058791 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.

2. სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ „ხე-ტყის დამზადება“ /02196/ - პროფესიული მომზადების პროგრამი ს განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ეკატერინე ბალარჯიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, 2025 წლის 18 თებერვლის №170733, ბრძანების საფუძველზე (ცვლილება ბრძანებაში N247330 - 06/03/2025) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ეკატერინე ბალარჯიშვილმა შეისწავლეს სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ხე-ტყის დამზადება“ /02196/ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 14 მარტს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯი „ერქვანში“, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სახელწოდება ინგლისურ ენაზე იყოს „Timber Harvesting“. საერთაშორისო სატყეო ტერმინოლოგიაში „ხე-ტყის

დამზადება“ ზემოაღნიშნული სახელწოდებითაა ცნობილი: ჟღერს პროფესიონალურად; შეესაბამება მეტყევეობის საერთაშორისო ტერმინოლოგიას; შინაარსი გულისხმობს ხე-ტყის დამზადებას ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვით.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია. მან საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რას ფიქრობდნენ აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი არ იზიარებენ რეკომენდაციას და მიზანშეწონილად მიაჩნიათ დარჩეს პროგრამაში მითითებული ინგლისურენოვანი სახელწოდება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამის ინგლისურენოვან სახელწოდებასთან დაკავშირებით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო და საჭირო ინგლისური ფორმულირების შეცვლა, რაზეც აღინიშნა, რომ არსებითი სხვაობა ამ ორ ფორმულირებას შორის არ არის, მოისმინეს პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მოსაზრება და საბჭომ ჩათვალა, რომ პროგრამის ინგლისური სახელწოდება დარჩენილიყო პირველადი სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ „ხე-ტყის დამზადება“ /02196/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ,,ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების ხე-ტყის დამზადება /02196/ **(დანართი 2)**

3. შპს ესკო-ესის „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (ArcGIS და QGIS) ბუნებრივი კატა სტროფების რისკის მართვაში“ /02220/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა გიორგი ქველიაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 24 თებერვლის №198814 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა გიორგი ქველიაშვილმა შეისწავლეს შპს ესკო-ესის პროფესიული გადამზადების პროგრამის „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (ArcGISდა QGIS) ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვაში“ / 02220/ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 6 მარტს განახორციელეს ვიზიტი შპს ესკო-ესში, მისამართზე მცხეთა-მთიანეთი, დუშეთი, ბაზალეთის ტბა.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 3.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, დაწესებულებამ სერტიფიკატი გასცეს დანართთან ერთად და მოამზადოს სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელზეც კურსდამთავრებული დააფიქსირებს ხელმოწერას, ასევე, გაცემული სერტიფიკატები სრულად აისახოს ელექტრონულ სისტემაში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - მცხეთა-მთიანეთი, დუშეთი, ბაზალეთის ტბა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია. მან საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესკო-ესის „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (ArcGIS და QGIS) ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვაში“ /02220/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესკო-ესს (ს/კ: 200270973) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (ArcGISდა QGIS) ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვაში /02220/ **(დანართი 3).**

4. შპს მატა აკადემიის „ფიტნეს ინსტრუქტორი" /02203/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ელისო მურვანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, 2025 წლის 6 მარტის №247693 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ელისო მურვანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 18 მარტს განახორციელა ვიზიტი შპს მატა აკადემიაში, ქ. თბილისში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებით, კერძოდ,
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
მე-10 სასწავლო კვირის თემატიკაში ლიპოლიზის პროცესი ეს არის ბიოქიმიის მიმართულება და ამ დონისთვის მიზანშეწონილი იქნება, თუ ყურადღება გამახვილდება კვებაზე, მის

დანიშნულებაზე, კვების სახეებზე, ასევე, აუცილებელია, 2 საათი მაინც დაეთმოს კვების თანამედროვე თეორიების ,,კვების პროდუქტების რისკების ანალიზის და კონტროლის შეფასების 7 თანამედროვე მეთოდით“ საკითხს.
ვინაიდან მე-10 სასწავლო კვირის თემატიკაში შესულია გლიკემიური ინდექსი, რა გასათვალისწინებელი ფაქტორების ცოდნაა საჭირო ფიზიკური დატვირთვისას,როგორი ტემპით და რა ხანგრძლივობით უნდა ჩატარდეს ფიზიკური აქტივობა, სხვა შემთხვევაში გლიკემიური ინდექსის სწავლა არ არის მიზანშეწონილი.
მნიშვნელოვანია, რომ მსმენელებმა მე-2 სასწავლო კვირის სწავლის შედეგის პლასტიკური ანატომია-ფიზიოლოგიის საფუძვლების ცოდნის შემდეგ ისწავლებოდეს ნუტრიციოლოგიის საბაზისო ცოდნა რაც უფრო შედეგიანს გახდის მსმენელის ცოდნას ფიტნეს აქტივობების დაგეგმვასა და წარმართვაში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი - ქ.თბილისი, ჭავჭავაძის 37 მ.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია. მან საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ იზიარებენ ისინი გაცემულ რეკომენდაციებს და როგორია მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ რეკომენდაციას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს და ცენტრს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მატა აკადემიის „ფიტნეს ინსტრუქტორი” /02203/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს მატა აკადემიას (ს/კ: 405733746) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ფიტნეს ინსტრუქტორი /02203/ **(დანართი 4).**

5. ა(ა)იპ კოლეჯ "პრესტიჟის" "ხე-ტყის დამზადება"/02239/ - პროფესიული მომზადების პროგრა მის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ძნელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 13 თებერვლის №149495 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა საბა მოდებაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2025 წლის 24 თებერვალს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟში“, ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქ.N1ა.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაცია არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1ა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია. მან საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს ჰქონდა შეკითხვა ექსპერტთან და დაწესებულების წარმომადგენელთან, შეკითხვა ეხებოდა შემდეგს, რომ დაწესებულებას პროგრამის განაცხადში ცალსახად აქვს მითითებული, რომ დაწესებულება 15 მსმენელის მიღებას აპირებს, შესაბამისად დარგის ექსპერტმა უნდა დაასაბუთოს, თუ როგორ მოხდა 15 მსმენელის შეცვლა 30 მსმენელით, რადგან პროგრამის განაცხადში ცალსახად 15 წერია.
ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას დასაბუთების დოკუმენტში 30 მსმენელზე აქვს მოთხოვნა, ასევე, მან აღნიშნა, რომ როდესაც გასაუბრება შედგა დაწესებულებაში, მათ განუმარტეს, რომ განაცხადში 15 იმიტომ უწერიათ, რომ 30 მსმენელს გადაანაწილებენ ორ ჯგუფად (15-15 მსმენელი) და ამისთვის დაწესებულებას საკმარისი სასწავლო აუდიტორიებიც გააჩნიათ.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს, რომ დაეზუსტებინა 30 მსმენელის მიღების შესაძლებლობა, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და არის შესაძლებელი, რომ მიიღონ 30 მსმენელი, გავრცობილი დასაბუთება მოცემულია დასკვნაში
აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დააზუსტა, რომ მისი კითხვა ეხება იმას, თუ რამდენად არის შესაძლებელი ორ ცვლაში განხორციელდეს მიღება, თუ იქნა ეს

შეფასებული დარგის ექსპერტის მიერ, რადგან სხვა სასწავლო აუდიტორიაზე მას აქცენტი არ გაუკეთებია და ეს არც განაცხადში ჩანს, მხოლოდ ერთი აუდიტორია არის მითითებული. მან ასევე ისიც აღნიშნა, რომ კვირეული დატვირთვა აღნიშნული პროგრამის არის 25 საათი, დღეში 5 საათი ერთ ჯგუფს მოხმარდება, ხოლო ამ ყველაფრისთვის საჭირო იქნება პროგრამაში ცვლილების განხორციელება.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს აუდიტორია დაწესებულებას ამ პროგრამის განხორციელებისთვის აქვს განსაზღვრული, შესაბამისად ორ ცვლაში განხორციელდება სასწავლო პროცესი, შესაბამისად ეს არ იქნება შემაფერხებელი.
ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა წარმოადგინოს შეცვლილი პროგრამა და მიმართა დარგის ექსპერტს კომენტარისთვის პროგრამის ინგლისურენოვან სახელწოდებასთან დაკავშირებით.
რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ მათ დაუსაბუთა, რომ თარგმანი სწორად იყო შერჩეული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ორ ცვლაში მსმენელების მიღების გამოცდილება აქვთ, ამიტომ ეს მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს და ამ ფორმატით პროგრამის განხორციელება შესაძლებელია, მან ისიც აღნიშნა, რომ ორი ჯგუფის მოთხოვნა განაპირობა მზარდმა მოთხოვნამ დამკვეთის მხრიდან, კერძოდ, სატყეო სააგენტოდან და დაცული ტერიტორიებიდან, სადაც დასაქმებული სპეციალისტების მომზადება არის საჭირო სწორედ ამ მიმართულებით, აქედან გამომდინარე მიიღეს ეს გადაწყვეტილება. მან ისიც აღნიშნა, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ტყის კოდექსის კანონი, რომლის თანახმადაც პირებს დასაქმების უფლება არ აქვთ, თუ არ აქვთ მათ შესაბამისი სერტიფიკატი, აქედან გამომდინარე მათთვის განათლების მიღება სასწრაფოდ არის განსახორციელებელი, ყოველივე ამან განაპირობა საჭიროება, რომ მათ 30 მსმენელი მიიღონ, ხოლო პრაქტიკაში კოლეჯის ორცვლიანი გამოცდილების არსებობა მათ აძლევს იმის საშუალებას, რომ აღნიშნული პროგრამა ამ ფორმატით განახორციელონ.
ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ხე-ტყის დამზადების პროგრამები ძალიან პრიორიტეტულია, სატყეო სააგენტო თითოეულ პროგრამაზე უფლების მინიჭებას დიდი გულისყურით ელოდება, ასევე ეს საკითხი ძალიან პრიორიტეტულია სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოსთვის, რამდენადაც ამ შემთხვევაში ტექნიკური უზუსტობა იყო, მათ აქვთ პრაქტიკა, რომ საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ამ გადაწყვეტილებას (მიეცეს უფლება კოლეჯს პროგრამაზე მიიღოს 30 მსმენელი ორ ცვლაში) მიიღებენ, დაწესებულებას შეუძლია ტექნიკურად გასწორებული პროგრამა მათ მიაწოდოს და ისინი ემისს გადაუგზავნიან, რომ მიღების გამოცხადების დროს ბაზაში აისახოს დაზუსტებული პარამეტრით, ამისთვის ერთთვიანი ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი.
რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას ამ შემთხვევაში პრობლემა არ აქვს, თუ შეთანხმდებიან კოლეჯის წარმომადგენლებთან, მან დასძინა, რომ თუ იქნება გათვალისწინებული, პირადად მისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს.
მან მიმართა საბჭოს წევრებს, დაეფიქსირებინათ პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ იზიარებენ მის პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ "პრესტიჟის" "ხე-ტყის დამზადება" /02239/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟის" (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ხე-ტყის დამზადება /02239/ **(დანართი 5).**

6. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობებ ის მომსახურება" /02229/-პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა საბა მოდებაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 18 თებერვლის №170742 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა საბა მოდებაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2025 წლის 27 თებერვალს განახორციელეს ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაცია არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია. მან საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურება“ /02229/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურება /02229/ **(დანართი 6).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 13:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე